დღეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა, დიდება საბჭოთა სამშობლოს მამაც გუშაგებს!

ხუთშაბათი,

23 თებერვალი, 1961 წ.

№ 24 (1660)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო



როგორც ცნობილია, თბილისში სავარჯიშოდ იმყოფება საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. დედაქალაქის საზოგადოებრიობა გულთბილ შეხვედრებს უწყობს მას.

ამას წინათ ფეხბურთელები დაესწრნენ ბალეტ „ოტელოს“. სცენაზე ინახულეს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი და მიულოცეს მას შემოქმედებითი გამარჯვება.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილებამ და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პროპაგანდისა და აგიტაციის სექციამ ძერჟინსკის სახ. კლუბში მოაწყო ფეხბურთელთა შეხვედრა თბილისის მშრომელებთან.

მოხსენებით გამოვიდნენ გუნდის ხელმძღვანელები, რომელთაც ილაპარაკეს გუნდის პერსპექტივების შესახებ და პასუხი გასცეს გულშემატკივრებს მათთვის საინტერესო კითხვებზე.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან) — ი. ნეტო, შ. იამანიძე, ხ. მეტრეველი, საქართველოს სახალხო არტისტი ვ. წიგნაძე, ა. სტაროსტინი, ვ. ივანოვი, მ. მესხი, ვ. ბუბუკინი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი, მსახიობი ლ. მითაიშვილი და ვ. პონედელნიკი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ზეიმი შედგება 12 მაისს

გაითვალისწინა რა მშრომელთა სურვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებანი მოაწყონ 1961 წლის 12 მაისს. (საქდესი).

XXII ჩემპიონატი

მეხუთე ტური

თამამად თამაშობდა ბერაძე გროსმაისტერ ხოლმოვთან. მან გონებამახვილურად გაითამაშა ნიმცოვიჩის დაცვა და შემტევი პოზიცია შექმნა, შემდეგ მხედრის მოხდენილი შეწირვით განსაცდელში ჩააგდო გროსმაისტერის მეფე, მაგრამ ხოლმოვმა მოხდენილად უკუაგდო წყალტუბოელის ფიგურები და გაიმარჯვა. გამრეკელი მტკიცედ იბრძოდა შტეინთან. მანევრულ თამაშში მან პაიკიც მოიგო, მაგრამ რაღგანაც შემდგომში თამაში ორივე მხრიდან ღიად ბრძოლისუნარიანობას მოითხოვდა, მეტოქეები უაიმზე შეთანხმდნენ. გუშინდლამ დამაარცხა მჭაელიანი.

პირველი დამარცხება განიცადა ჩიქოვანმა, რომელიც ბუსლაევს ეთამაშებოდა. სიცილიურ დაცვაში ჩიქოვანმა გამბიტურ გაგრძელებას მიმართა და მისი მიღების შემდეგ შეუტია ბუსლაევის მეფეს. მაგრამ იერიშით გართულ ჩიქოვანს დაავიწყდა როჩის გაკეთება, რაც ძალზე ძვირად დაუჯდა. ბუსლაევმა მოიგერია მუქარები, საშიშროება შეუქმნა ჩიქოვანის მეფეს და ლაზიერის ფრთაზე ორი მეტად ძლიერი გამსვლელი პაიკი მიიღო. ყველაფერმა ამან კიდეც განაპირობა ბუსლაევის გამარჯვება. შეინცევტმა დებიუტში ფიგურა შეწირა კალატოზიშვილს, შემდეგ დაიბრუნა იგი, პერსპექტიული პოზიცია მიიღო და გაიმარჯვა. ძალზე რთული თამაშით აღინიშნა ბლაგიძე-იზვოზჩიკოვის შეხვედრა. მხოლოდ ბრძოლის მეხუთე საათზე მოიწმინდა „ცა“ და მეტოქეები დაზავდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ეგიაშვილ-გაგუას პარტია.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

* * *

გუშინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. ხოლმოვმა მოუგო მჭაელიანს, ლომაიამ — იზვოზჩიკოვს. ჯანოევ-ბერეტმანისა და გიორგაძე-შაშოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

შვეცია

თანამედროვე სათხილამურო ორშვიდლეთა (ბიატლონი) მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის შვეციაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან ა. პროვალოვი, დ. სოკოლოვი, ვ. პშენიცინი, ნ. პავლოვსკი და ვ. მელანინი.

* * *

რუმინეთი

ბუქარესტში დამთავრდა ჰოკეისტთა საერთაშორისო შეჯიბრება „ბუქარესტის თასზე“, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სპორტულ ინტერესს იცავდა ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდი. მან პირველ შეხვედრაში ანგარიშით 10:5 სძლია ბუქარესტის ახალგაზრდულ ნაკრებს. შემდეგ დაამარცხა ბუდაპეშტის ნაკრები — 17:2, ხოლო ბუქარესტის პირველ გუნდთან ითამაშა ფრედ — 3:3. ლენინგრადისა და ბუქარესტის გუნდებმა მოაგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა. გატანილ და მიღებულ შაიბათა უკეთესი შეფარდებით — 39:11 თასი მოიპოვეს ლენინგრადელმა სპორტსმენებმა.

გდრ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იმყოფებიან მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატები. ქალებმა პირველი მატჩი გამართეს ტორგაუში და გაიმარჯვეს — 3:0. ამ დღეს ვაჟთა გუნდი თამაშობდა ცვიკაუში ლაიპციგის ნაკრებთან. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 5:1.

მეორე შეხვედრაში გდრ-ს ვაჟთა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში შეძლო რევანშის აღება — 5:4, ხოლო საბჭოთა ქალებმა კვლავ სძლიეს მოწინააღმდეგეს — 2:1. ამ გდრ-ს გუნდს ქულა მოუტანა შტრაუსმა.

* * *

ნორვეგია

ოსლოში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში ბურთით. როგორც ცნობილია, პირველ ამგვარ შეჯიბრებაში, რომელიც ოთხი წლის წინათ ჩატარდა, ოქროს მედლები მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა და ცხადია, ამ ნადავლის დათმობას ისინი არც ამჯერად აპირებდნენ. ამიტომაც ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა პირველობის გახსნამდე რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩაატარა შვეციაში. მათ ფრედ — 2:2 ითამაშეს სედერმანლანდის ნაკრებთან, ხოლო შემდეგ 4:0 დაამარცხეს ვერმლანდის ოლქის ნაკრები.

მსოფლიოს ამ პირველობაში თამაშობს ფინეთის, ნორვეგიის, შვეციისა და საბჭოთა კავშირის გუნდები. პირველ დღეს, გუშინ თამაშობდნენ საბჭოთა კავშირი—ფინეთი, შვეცია—ნორვეგია. ჩვენი ნაკრები მორიგ მატჩებს გამართავენ ხვალ 24 თებერვალს, ნორვეგიასთან და 26 თებერვალს ოსლოს სტადიონ „ბიშლეტზე“ ეთამაშებიან შვედებს.

მშრალი ანგარიშით

მოსკოვში, ცსკა-ს სპორტულ დარბაზში შედგა მორიგი კალენდარული მატჩი ფრენბურთში სსრ კავშირის 1961 წლის პირველობაზე. ითამაშეს არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდებმა.

სამივე პარტიის განმავლობაში უპირატესობა მოსკოველთა მხარეზე იყო, რომლებმაც სტუდენტთა თავგამოდებული თამაშის მიუხედავად შეძლეს შეხვედრის მშრალი ანგარიშით (3:0) მოგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგიტბრიგადა საწარმოში



სტუდენტთა და საწარმოს კოლექტივის შეხვედრისას დიდი წარმატება მოიპოვეს ტანმოვარჯიშეებმა. მათ გამოსვლას დამსწრენი მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ.

სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) — საჩვენებელი გამოსვლების მომენტები. ფოტო გ. ბურჯანაძისა.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მეტად კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. პროფესორ - მასწავლებლები და სტუდენტები სააგიტაციო - სპორტულ გამოსვლებს აწყობენ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. ისინი იყვნენ ბოლნისში, თიანეთში, თელეთში, რუსთავში, მარტყოფში...

მაგრამ სავსებით სწორი იყო ინსტიტუტის დირექციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის აზრი იმის შესახებ, რომ ისეთი დიდი შესაძლებლობების მქონე დაწესებულებებისათვის, როგორც საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტია, ეს ღონისძიება არ არის საკმარისი. მათ ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ინსტიტუტმა კიდევ უფრო გააფართოოს ამ მიმართებით მუშაობა.

ამ მიზნით 18 თებერვალს ინსტიტუტის პედაგოგთა და სტუდენტთა კოლექტივი ესტუმრა რუსთავის ქიმიურ ქარხანას. ქარხნის მრავალი ახალგაზრდის დასწრებით საღამო გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. წიქორიძემ, სტუმრებს მიესალმა ქარხნის ალკკ კომიტეტის მდივანი ა. მაისურაძე.

ინსტიტუტის აგიტ-ბრიგადამ თავისი გამოსვლა დაიწყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის დოცენტ მ. გორგაძის მოხსენებით: „ფიზიკური კულტურა და სპორტი საქართველოში 40 წლის მანძილზე". დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ასპირანტ რ. შავლაყაძის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს გაუზიარა XVII ოლიმპიურ თამაშებზე მიღებული შთაბეჭდილებები.

საღამოს მეორე განყოფილება მთლიანად სპორტულ გამოსვლებს დაეთმო. დამსწრეებს უჩვენეს ინსტიტუტის კინომოყვარულების მიერ გადაღებული ფილმები. გამოსვლებს უფრო საინტერესოს ხდიდა ის გარემოება, რომ სპორტის ცალკეულ სახეობაში საჩვენებელ შეჯიბრებას თან სდევდა ინსტიტუტის სპეციალისტთა ახსნა-განმარტებანი. სააგიტაციო გამოსვლაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ინსტიტუტის პედაგოგებმა, სპორტის ვეტერანებმა: ნ. მეიფარიანმა, ა. ჯორჯაძემ, ნ. თაყაიშვილმა, ბ. მელაძემ, ს. თედეევმა, შ. დარასელიამ, დ. კაპცოვმა, ო. კაკიაშვილმა და სხვებმა.

ინსტიტუტს გადაწყვეტილი აქვს მსგავსი სააგიტაციო-სპორტული გამოსვლა მოაწყოს საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ა. ციბაძე,

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზ. მომზადების ფაკულტეტის დეკანი

* * *

რედაქციისაგან: ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კოლექტივი საშეფო მუშაობის გაშლით მეტად დიდ საქმეს აკეთებს. ამიტომ სხვა კოლექტივებმაც უნდა მიბაძონ მას.



ჩვენ გვჭირდება ქმედითი, საინტერესო პროპაგანდა, რომელიც გაზრდის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიგებს, აამაღლებს მათ ოსტატობას

სექცია განაგრძობს მუშაობას

როგორც ცნობილია, პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭომ ამას წინათ მოისმინა და მოიწონა სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის აგიტაცია-პროპაგანდის სექციის მუშაობა და საჭიროდ სცნო მისი გამოცდილების გავრცელება საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყველა სპორტულ საზოგადოებაში. აღნიშნული სექციის აქტივისტთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულ იქნა სიგელებით, ნიშნებით „პროფკავშირთა ნსს აქტივისტი" და სამახსოვრო ჯილდოებით. ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ „განთიადის" აგიტაცია-პროპაგანდის სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბ. კოვალიოვის წერილს აღნიშნულ სპორტსაზოგადოებაში სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის გაშლის, მისი პერსპექტივებისა და გაუმჯობესების ამოცანების შესახებ.

პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე ანგარიშით და მოხსენებით გამოსვლა ჩვენთვის დიდი პატივი იყო. ჩვენ ხომ მეტად ახალგაზრდა საზოგადოებას — „განთიადს" წარმოვადგენდით, რომლის მთელი „ისტორიაც" მხოლოდ რამდენიმე თვითაა უფროსი ჩვენს სექციაზე (სექცია კი შეიქმნა 1958 წელს).

და აი, მსურს დავიწყო იმ მაგალითით, რომლითაც იწყებოდა ჩვენი მოხსენება: საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენ მოვახდინეთ სექციის აქტივისტების 10-დღიანი მოგზაურობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს იყო 1960 წლის ივლის-აგვისტოში. თითქოს ბევრი არაფერი არ უნდა მოგვესწრო ამ კვირანახევრის განმავლობაში. მაგრამ მოგზაურობა იმდენად საინტერესო, იმდენად საქმიანი იყო, რომ მან დიდი სარგებლობა მოუტანა საქმეს. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენი მარშრუტი ხორციელდებოდა ყოველგვარი ტრანსპორტის დახმარებით, ვერტმფრენის ჩათვლითაც კი... გორი და აგარა, ქუთაისი და ტყიბული, სოხუმი და ფოთი, ბათუმი და მახარაძე — აი პუნქტები, სადაც იყო ჩვენი ჯგუფი და სადაც იგი ხვდებოდა მშრომელ ადამიანებს, ადამიანებს, რომლებიც ამუშავებდნენ კუბის შაქარ-ნედლეულს, მუშაობდნენ შახტებში, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში. განა შეიძლება დაგვავიწყდეს რეისი თბომავალ „გრუზიაზე", მის სახელგანთქმულ კაპიტანთან ე. გოგიტიძესთან შეხვედრა და გულთბილი საუბარი! „განთიადის" წევრებს შეუძლიათ იამაყონ, რომ ამჟამად შავიზღვის პირველი ეკიპაჟი, რომელსაც მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის ეკიპაჟის სახელი, ინახავს ჩვენს მიერ მიძღვნილ საჩუქარს — „განთიადის" ემბლემას და სიგელს. ჩვენ ამ მოგზაურობის საფუძველზე შევქმენით არა მარტო ფოტოალბომი და გადავიღეთ ჩვენი სპორტსაზოგადოების საუკეთესო ადამიანებზე ფილმი, არამედ მჭიდრო მეგობრული კავშირი დავამყარეთ მუშებთან, კოლმეურნეებთან, მოსამსახურეებთან...

სექციის მუშაობის წარმატება მდგომარეობს მის მჭიდრო კავშირში ფიზკულტურის კოლექტივების აქტივთან, ქალაქებისა და ოლქების აგიტაცია-პროპაგანდის სექციებთან. ეს საშუალებას გვაძლევს არა მარტო ყველა საინტერესო საქმის კურსში ვიყოთ, არამედ დროულად შევნიშნოთ და პოპულარიზაცია გავუწიოთ ყველაფერ ახალს, პროგრესულს, რაც ძირეულ-ფიზკულტურულ კოლექტივებში იბადება.

ჩვენს ფოსტაში შემოსული ამბები ყოველთვის სასიამოვნო როდია. მაგალითად, თელავის აბრეშუმსართავი ფაბრიკიდან ამას წინათ მოვიდა ცნობა, რომ აქაურ ფიზკულტურელებს წაართვეს სტადიონი და სპორტული მოედნები წარმოების სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ფიზკულტურელებს ეს დანაკლისი არაფრით არ აუნაზღაურეს. სექცია წამსვე ჩაერია ამ საქმეში და შედეგად, აღნიშნული საწარმოს ფიზკულტურელები ამჟამად უმოქმედოდ არ არიან.

გავიზიაროთ მათი გამოცდილება

სექციის წევრებმა დაამუშავეს საზოგადოების დროშისა და ემბლემის ესკიზი, აგრეთვე შეჯიბრებებში გამარჯვებულთათვის ჟეტონებისა და „განთიადის" საპატიო ნიშნის მოდელები. სექციის რეკომენდაციით ფიზკულტურულ კოლექტივებში სისტემატურად გამოდის სპეციალური თემატიკური კედლის გაზეთები, იქმნება ვიტრინა „სპორტის სიახლენი", ფორმდება საამქროების სპორტული კუთხეები. სექციის პრეზიდიუმის წარდგინებით ძირეულ კოლექტივთა ერთი ნაწილი კარგი მუშაობისათვის სპორტის აგიტაცია-პროპაგანდაში წახალისებულია „განთიადის" სიგელებით. ამ კოლექტივებს შორის არიან: სპორტული კლუბი „გამარჯვება", სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1, ქუთაისის აბრეშუმკომბინატი, ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხანა და სხვ.

ბევრი რამ გააკეთეს სექციის წევრებმა. ყველაფერს ვერც ჩამოვთვლით. მაგრამ ახლა, როცა მისი მუშაობა საერთო ყურადღების ცენტრში დადგა, ჩვენ უფრო მეტი, ახალი და კარგი გეგმები დაგვესახა. რა თქმა უნდა, საჭიროა უფრო უკეთესი და უფრო მეტი მუშაობა, საჭიროა თუნდაც მარტო იმიტომ, რომ წინაა სსრ კავშირის პროფკავშირთა VII სპარტაკიადა, ხოლო შემდეგ — საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა.

პროპაგანდის ქმედითი გაშლა ამ ორი სპარტაკიადის ჩატარებასთან დაკავშირებული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად — ასეთია სექციის მუშაობის გენერალური ხაზი.

„განთიადის" ცენტრალური საბჭო ყოველმხრივ დახმარებას უწევს ფიზკულტურისა და სპორტის აგიტაცია-პროპაგანდის სექციას, წარმართავს მის მუშაობას. აი ახლაც: ის-ის იყო ჩვენ მოსკოვიდან დავბრუნდით და პრეზიდიუმს ჩვენი მგზავრობის შედეგების შესახებ მოვახსენეთ, რომ უკვე დამტკიცებული გვაქვს 1961 წლის მუშაობის გეგმაც. განთიადის პრეზიდიუმმა მიიღო სპეციალური დადგენილება სპორტის აგიტაციისა და პროპაგანდის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ და ამით ჩვენ ფართო სამოქმედო არე მოგვეცა. უახლოეს დღეებში, კერძოთ, 15 მარტს ჩატარდება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების კედლის გაზეთების კონკურსი-დათვალიერება, ხოლო 15-25 აპრილს—რესპუბლიკური დათვალიერება საამქროს საუკეთესო ფიზკულტურული კუთხის გამოსავლინებლად. სადაცაა გამოვა „საპატიო დაფაც", რომელზეც გამოკრული იქნება „განთიადის" საუკეთესო სპორტსმენებისა და აქტივისტების სურათები. ჩატარდება აგრეთვე სააგიტაციო ველოგადარბენა საქართველოს გზებზე, ვარსკვლავისებური ტურისტული ლაშქრობები და ა. შ.

სექციის პრეზიდიუმის წევრები—ა. იორდანიშვილი, მ. დანდუროვი, ი. პონომარიოვა, ტ. ცააძე, ვ. შიქაძე, ა. გრომოვი და სხვები, რომლებიც ცალკეულ სექტორებს ხელმძღვანელობენ, ჩაატარებენ არანაკლებ საინტერესო ღონისძიებებს. ასე მაგალითად, მარტსა და აპრილში თბილისის კოლექტივების სპორტსმენთათვის მოეწყობა დოკუმენტური სპორტული კინოფილმების ფესტივალი, „განთიადის" რესპუბლიკური აქტივის მუშაობის დღეებში ჩატარდება სემინარი საქალაქო და საოლქო სექციების წევრთათვის; საწარმოთა ფიზკულტურული ახალგაზრდობა შეხვდება შრომისა და სპორტის ვეტერანებს.

დიდი გეგმები გვაქვს ჩვენ სხვა სფეროშიც. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დახმარებით ჩვენ გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი კულტურის სახლი და საქარხნო კლუბი ფლობდეს თავის ფიზკულტურულ კუთხეს, რომელიც სისტემატურად ასახავს მათ სპორტულ ცხოვრებასა და წარმატებებს.

სექციის წევრები მზად არიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მიაღწიონ ფიზკულტურისა და სპორტის ფართო პოპულარიზაციას სპორტსაზოგადოება „განთიადში". ამის საწინდარია ჩვენი პირველი ნაბიჯების კარგი შეფასება, რომელიც მათ მისცა პროფკავშირთა საკავშირო საბჭომ.

ბ. კოვალიოვი,

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს აგიტაციისა და პროპაგანდის სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ლელო

მე-2 ბვ. № 24 (1660)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში ნაყოფიერად მუშაობს მოთხილამურეთა სექცია.

სურათზე: კოლმეურნე გ. ჯაფარიძე ხტება ტრამპლინიდან.

ფოტო ვ. რატიანისა.

თავგანწირული თამაშის მიუხედავად

ბაკურიანი. 21 თებერვალი. „დინამოს" ჰოკეის მოედანი. საქართველო („დინამო")-ლიტვა(ნაკრები) — 0:5 (0:1; 0:1; 0:3).

მსაჯები: საკავშირო კატეგორიის მსაჯი დ. სკვორცოვი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ნ. პეტროვი (ორივე მოსკოვი).

ლტვის ნაკრებ გუნდს ჩვენი პუბლიკის ახალბედა წარგზავლები არ შეხვედრიან მოკავში- რესპუბლიკების პირველობის ველ წრეში, ამრიგად, ეს გუნ- ისე როგორც ყველა ადრინ- ლი მეტოქე, სრულიად უცნობ ს წარმოადგენდა.

შეხვედრის წინ ვესაუბრეთ ლი- ელთა მწვრთნელს თუ რომელ გორიას შეიძლება მიეკუთვ- მისი გუნდი სიძლიერის მიხე- თ. მან თქვა: — მოთამაშეთა ტესი ნაწილი პირველთანრი- ანიაო.

თამაში დაიწყო ლიტველთა წა- ტებით. 40-ე წამზე ზგირსკიმ ველი შაიბა გაიტანა ჩვენს ში, რომელიც ერთადერთი იყო ლი მომდევნო თამაშის 35 წუ- განმავლობაში, როცა მოე- ზე მიმდინარეობდა თითქოს ბართა ბრძოლა. გან- ორებით აქტიურად აზრებით მოქმედებ- ვენი გუნდის ხუთეუ- , რომელმაც პირველად დაიწყო ში და შემდეგ გადამწყვეტ ენტებში ერთდაიმავე შემად- ლობით მთლიანად ცვლიდა მე სხვა ხუთეულებს. ესენი ენ: ვ. ზახაროვი, გ. საკაძე, მამალაძე, ვ. სტაროსელცოვი ა. კალინინი.

ღებული შაიბის შემდეგ ჩვე- ჰოკეისტები კონტრშეტევაზე ავიდნენ და თანდათან მოი- ეს ინიციატივაც. რამდენიმე ნიკურად ბრწყინვალე რეიდს რციელებს ვ. ზახაროვი, მაგ- ყველაფერი ეს არ ხდება მა- ტემპში და ლიტველები სისწრაფის ხარჯზე იგერიებენ საფრთხეს. თანდათან „კბილებს აჩენს" ა. კალინინიც, რომელიც სულ უფრო საშიშ ძალად იქცევა ზახაროვის გვერდით მისი გონივრული გადაცემების წყალობით. მშვენივრად მოქმედებს ჩვენი მეკარე 17 წლის რ. კორძაიაც.

მეორე პერიოდის მე-14 წუთზე მოხდა დრამატული ამბავი: საქართველოს გუნდი არასრული შემადგენლობით თამაშობდა და მაინც დაჯერებით, გააფთრებით იცავდა კარს. და აი, ორი წუთით გაძევებულ ს. ლექავას თამაშში შემოსვლას აკლდა მხოლოდ 10 წამი, რომ კორძაიამ არეულობაში ხელი მოახვედრა შაიბას და საკუთარ კარში შეაცურა იგი — 0:2.

ჩვენი ჰოკეისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ უიღბლობას მათ კიდევ უფრო თავგანწირული ბრძოლით უპასუხეს. მონდომება მალე გადაიზარდა ტერიტორიულ უპირატესობაში, ტემპმა იმატა, ბრძოლა უფრო დაძაბული გახდა. ასე გაგრძელდა მეორე პერიოდის დასასრულამდე და მესამე პერიოდის პირველ 10 წუთს. ლიტველთა კარი 3-ჯერ გადარჩა საფრთხეს, გოლი აშკარად მწიფდებოდა და იგი გატანილი იქნა კალინინის მიერ, მაგრამ... მაშინ, როცა მაყურებელთა ხმაურში მიცემულმა სასტვენმა სულ რაღაც ნახევარი წამით დაასწრო დარტყმას. სასტვენმა მესამე პერიოდის I ნახევრის დამთავრება აღინიშნა. II ნახევრის დაწყებისთანავე სტუმრები კვლავ აღწევენ წარმატებას — 3:0. დარჩენილი დრო უკვე ლიტველთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა. რ. კორძაიას თავგანწირული თამაშის მიუხედავად, მათ კიდევ ორი შაიბა გაიტანეს და გაიმარჯვეს — 5:0.

თამაშის შემდეგ ლიტველთა მწვრთნელთან განახლდა საუბარი.

— ძალიან ძნელი დასაჯერია, რომ თქვენი ჰოკეისტები მხოლოდ სამი თვის ნავარჯიშები არიან, — თქვა მან, — და თუ ეს ასეა, თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ ასეთი წაგებით.

ჩვენს გუნდზე თავისი აზრი გაგვიზიარა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა დ. სკვორცოვმაც. თავდაპირველად მან აღნიშნა საქართველოს ჰოკეისტთა თავგანწირვა დაცვაში და მოთამაშეები, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩნენ. ესენია: მეკარე ლ. კორძაია, მცველი ს. ლექავა, თავდამსხმელები ა. კალინინი, ა. ნაცვლიშვილი, ნ. მამალაძე და რა თქმა უნდა, ვ. ზახაროვი, რომელიც 41 წლის ასაკში ყველაფერს იძლევა გუნდის წარმატებისათვის, ზრდისათვის, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თქვენი თავდასხმა უკეთესის სურვილს იწვევს ურთიერთ შეთამაშების, კომბინაციურობის და ტაქტიკურად მომწიფებული მოქმედების თვალსაზრისით. ეს ყველაფერი დროისა და წვრთნის საქმეა. ყოველ შემთხვევაში ის, რასაც თქვენმა სპორტსმენებმა მიაღწიეს, მტკიცე გარანტიაა იმისა, რომ ორ-სამ წელიწადში თქვენ გეყოლებათ პირველხარისხოვანი გუნდი. მაგრამ აქ არსებობს ერთი „თუ"... ეს „თუ" გულისხმობს ჰოკეის სათამაშო მოედნების მეტი რაოდენობის არსებობას. უამისოდ არაფერი გამოვა.

* * *

გუშინ, 22 თებერვალს შედგა განმეორებითი მატჩი ამ გუნდებს შორის. „დინამოს" შემადგენლობაში ავადმყოფობის გამო არ თამაშობდა ვ. ზახაროვი. თამაშის უმეტეს დროს კარში არ იდგა ლ. კორძაია. ჩვენმა გუნდმა განიცადა დამარცხება დიდი ანგარიშით — 3:18 (0:7, 0:6, 3:5). სამივე შაიბა ლიტველთა კარში გაიტანა ა. კალინინმა.

შ. ვადაჭკორია,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ფაქტები ქალაქებსა და რაიონებში

თერჯოლა

„კოლმეურნის" ფეხბურთელთა ონულ პირველობაში მონაწილეობდა 14 საკოლმეურნეო გუნდი. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს სოფ. სიქთარვის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა.

• • •

ინტერესოდ მიმდინარეობდა როლის საშუალო სკოლის მოსწავლეებთა პირველობა ჭადრაკსა და შაშში. ჭადრაკში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ნ. ნიკოლაძე, ვაჟებს შორის — რ. ნიკოლაძე. შაშში პირველობა დაისაკუთრეს თ. ფხაკაძემ (ქალთა შორის) და შ. ბერძულმა (ვაჟთა შორის).

• • •

ხშირღელის საშუალო სკოლა- დიდი სიყვარულით სარგებლობს შაში. სკოლის 1961 წლის პირველობაში მრავალმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. პიონერებს შორის უძლიერესი აღმოჩნდნენ გოგონებში ი. სუთიძე და ვაჟებში — თ. ბრეგვაძე.

ილ. ჯიშიაშვილი

• • •

ცაგერი

ცაგერის რაიონის მოსწავლეთა პირველობა სათხილამურო სპორტში, რომელიც სოფელ ნაკურალეშში ჩატარდა, ორ დღეს გრძელდებოდა. უფროს ასაკში გამარჯვებისათვის იბრძოდა 10 გუნდი, უმცროს ასაკში — 13. შეჯიბრებაში კარგი მომზადება გამოავლინეს ცხუკერის საშუალო სკოლის მოთხილამურეებმა, რომლებმაც გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ასაკში. უფროს ასაკში მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: რისა და ლასურიაშის საშუალო სკოლის მოსწავლეები. უმცროს ასაკში პრიზიორები გახდნენ ურიაშელი და ლაილაშელი მოთხილამურეები.

გ. სვადაგიანი

ლელოს კაპიტანი

ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავის საშუალო სკოლის მოსწავლე ა. დოლიძეს აინტერესებს, თუ ვინ ითამაშებს თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში 1961 წელს.

ჩვენს გაზეთში უკვე დაიწერა იმის შესახებ, რომ თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალგაზრდა მოთამაშეებს დუბლშემადგენლობისათვის, რომლებიც შერჩეულ იქნა რესპუბლიკის სხვადასხვა გუნდებში. შესაძლოა, მათი რიცხვიდან მოთამაშეები შევიდნენ ძირითად შემადგენლობაში. ამას მომავალი დაგვანახვებს.

ა. დოლიძეს აგრეთვე აინტერესებს ითამაშებს თუ არა მომავალ სეზონში ა. ღოღობერიძე და თუ არ ითამაშებს ვის „გადაულოცავს" იგი გუნდის კაპიტნობას.

ა. ღოღობერიძე 1961 წელს ითამაშებს. რაც შეეხება კაპიტნობის „გადალოცვას", ეს წესად არაა მიღებული. ახალ კაპიტანს, როგორც წესი, ირჩევენ გუნდის წევრები თავიანთ საერთო კრებაზე.

* * *

სტალინირელ ფეხბურთის მოყვარულებს ი. დოიჯაშვილსა და პ. კოჩიევს აინტერესებთ, თუ რა ხნისაა ა. ღოღობერიძე და საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის თამაშობს თუ არა მასზე უფრო ხნიერი ფეხბურთელი. მათვე სურთ გაიგონ ვინ ითვლება ყველაზე უფრო მოქმედ ხნიერ ფეხბურთელად მსოფლიოში და რა ხნისაა იგი.

„ა" კლასის გუნდებს შორის ჩვენს ქვეყანაში ა. ღოღობერიძე ითვლება ყველაზე უფრო ხნიერ ფეხბურთელად.

რაც შეეხება ამავე საკითხს მსოფლიო მასშტაბით, ყველაზე უფრო ხნიერი ფეხბურთელია ცნობილი ინგლისელი ფორვარდი სტენლი მეტიუზი, რომელსაც უკვე შეუსრულდა 46 წელი.

რედაქციაში ხშირად შემოდის წერილები შემდეგი შეკითხვით: ვინაა სსრ კავშირში, ევროპაში, სამხრეთ ამერიკაში, მსოფლიოში უძლიერესი მეკარე, უძლიერესი მცველი, უძლიერესი ნახევარმცველი და უძლიერესი თავდამსხმელი?

უძლიერესთა ამგვარი დაყოფა ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის სსრ კავშირშიც, არსებობს. მაგალითად, ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია ყოველწლიურად აქვეყნებს 33 უძლიერესი ფეხბურთელის სიას, სადაც თითეულ ადგილზე კლასიფიცირებულია 3-3 უძლიერესი ფეხბურთელი. მაგრამ, საერთაშორისო მასშტაბით ასეთი კლასიფიკაცია არ არსებობს, არც ფიფა-ს, არც სხვა რომელიმე კომპეტენტურ საფეხბურთო ორგანიზაციას უძლიერესთა დაყოფა იმ თვალსაზრისით, თუ ვინ არის, ვთქვათ, უძლიერესი ნახევარმცველი მსოფლიოში, არა აქვს.

„ლოკომოტივი" 25 წლისაა

25 წელი შეუსრულდა სპორტულ საზოგადოება „ლოკომოტივს". მეოთხედი საუკუნის წინათ ჩვენი ქვეყნის მსხვილ სარკინიგზო კვანძებთან არსებული კოლექტივები გაერთიანდნენ ერთ საზოგადოებაში, რომელსაც ეწოდა „ლოკომოტივი". 25 წლის განმავლობაში „ლოკომოტივმა" დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალების პატრიოტთა ფიზიკურად გაკაჟებისათვის.

ეს საზოგადოება ამჟამად აერთიანებს მილიონზე მეტ ფიზკულტურელს, რომელთა რიგებში ჩვენ ვხვდებით უძლიერეს სპორტსმენებს. რომლებსაც თავიანთი დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. ბევრმა ლოკომოტიველმა თავი გამოიჩინა საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. უცხოეთის სტადიონებსა თუ სხვა სპორტულ სარბიელებზე ათასობით მაყურებელი მოუხიბლავს მძლეოსნებს ვ. კრეპკინას, ს. პოპოვს, ნ. სოკოლოვს, ლ. ანთაძეს, მოთხილამურე რ. ეროშინას, ფრენბურთელებს მსოფლიო ჩემპიონის, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრებს ლოკომოტიველებს მ. ერემეევას, ა. ბოლდირევას, ა. რიჟოვას, ვ. გერასიმოვას, მსოფლიო ჩემპიონს ასუჯრიან შაშში ვ. შჩეგოლევსა და ბევრ სხვას.

რკინიგზელ სპორტსმენთა განკარგულებაშია 250 სტადიონი, 225 სპორტული დარბაზი, 350 სათხილამურო ბაზა, 45 საწყლოსნო აუზი და სხვა სპორტული ბაზები.

„ლოკომოტივის" წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვთ საქართველოს რკინიგზელ სპორტსმენებს, რომელთა წარმომადგენლები ხშირად გამოდიან ამ საზოგადოების ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. საქართველოს რკინიგზელები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ შვიდწლიანი გეგმის სასახელოდ განხორციელებაში, წარმატებით ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს, ის მუშაობა, რასაც „ლოკომოტივის" საგზაო საბჭო თავაზობს მათ, რასაკვირველია, დამაკმაყოფილებელი არ არის. გასულ წლებში საქართველოს რკინიგზელი სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მაგრამ უკანასკნელ წლებში ეს წარმატებები გაფერმკრთალდნენ. ვერ ვიტყვით, რომ ამ საზოგადოებას არ ჰქონდეს საშუალება მაღალ საფეხურზე აიყვანოს მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობა. რასაკვირველია აქვს, რადგან ისეთ ძლიერ ფიზკულტურულ კოლექტივებში, როგორებიცაა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხანა და სხვა წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე სპორტს მოწყურებული ახალგაზრდობა საიმედო ძალას წარმოადგენს. „ლოკომოტივი" კვლავაც უნდა ჩადგეს რესპუბლიკის მოწინავე სპორტულ საზოგადოებათა რიგებში, აღზარდოს მაღალკვალიფიციური სპორტსმენები.

მრავალი აღსაზრდელი ეუფლება სპორტის სხვადასხვა სახეობას თბილისის მე-5 სკოლა-ინტერნატში. ისინი ჩაბმული არიან სხვადასხვა სექციებში და ეუფლებიან არჩეულ სახეობას.

* * *

სურათზე: ჭადრაკის სექციის მეცადინეობაზე.

ფოტო ვ. გოგაძისა.

სოფია ემზადება

ბულგარული სპორტული გაზეთ „ნაროდენ სპორტის" 26 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულია ახალი მასალები, რომლებიც გვიამბობენ უნივერსიადისათვის მზადების შესახებ. როგორც ცნობილია, სტუდენტთა ეს მორიგი შეჯიბრება გაიმართება სოფიაში აგვისტოს ბოლო რიცხვებში. ბულგარეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები, სოფიაში ელოდებიან უამრავ სტუმარს, 200-მდე ჟურნალისტს და ა. შ. უკვე გადაიჭრა ჟურნალისტთა მომსახურების პრობლემა. როგორც უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტი იტყობინება პრესცენტრი მოეწყობა სოფიის უნივერსიტეტისა და სტუდენტთა კულტურის სახლში.

ჟურნალისტებს ყველა ქვეყანასთან დააკავშირებს 114 სატელეფონო დანადგარი, რომლებსაც მომსახურებას გაუწევს 34 საქალაქთაშორისო სადგური. სოფიის სტუდენტთა კულტურის სახლმა გადაწყვიტა კინოფირზე აღბეჭდოს უნივერსიადისათვის მზადება, ბულგარელ სპორტსმენთა საქმიანობა და ბაზები, სადაც ჩატარდება თამაშები.

ფილმის ასლები გაეგზავნება ყველა საზღვარგარეთის სტუდენტთა სპორტულ ორგანიზაციებს, რათა სოფიაში ჩამოსვლამდე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ მომავალი ბრძოლების ადგილმდებარეობისა და მათი აღჭურვილობის შესახებ.

უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი. კერძოდ, საორგანიზაციო კომიტეტის წევრები შეთანხმდნენ შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთსა და წყალბურთში ჩატარონ მხოლოდ უნგრული ფირმა „არტექსის" ბურთით, ტანვარჯიშში გამოიყენონ გერმანული ინვენტარი. მძლეოსნები შუბის ტყორცნაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან ფინეთში დამზადებული შუბით, რომელიც „ხელდის" ტიპს მიეკუთვნება.

ამ დღეებში უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო წერილები მაროკოს, მალტის, თურქეთის, ირანის, შვეციისა და ფინეთის სტუდენტთა ორგანიზაციებიდან, რომლებიც უნივერსიადაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ.

სამი ჩემპიონი ერთ წონაში

ამას წინათ ბოსტონში შედგა საშუალო წონის მოკრივეთა შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ერთ-ერთი მფლობელი, ამერიკელი პოლ პენდერი თავის წოდებას იცავდა ინგლისელ ტერი დავთან მატჩში, რომელიც 15 რაუნდზე იყო გათვალისწინებული. მეშვიდე რაუნდზე ბრძოლა შეწყდა. პენდერმა ტექნიკური ნოკაუტით მოიგო მატჩი და შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

შეხვედრის დამთავრებისთანავე გამართულ ინტერვიუში პენდერმა განუცხადა კორესპონდენტებს, რომ იგი ბრძოლაში იწვევს რეი რობინსონსა და ფულმერს შორის მატჩში გამარჯვებულს. „ეს არის ჩემი ყველაზე უფრო დიდი ნატვრა და სურვილი — თქვა მან, — რადგან ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ ვინაა მსოფლიოს ნამდვილი ჩემპიონი?.."

როგორც ცნობილია, ამერიკის პროფესიული კრივის სამყაროში საშუალო წონის სამი მოკრივეა აღიარებული მსოფლიო ჩემპიონად: რობინსონი, ფულმერი და პენდერი. ამათგან ფულმერს 47 შტატი მიიჩნევს ნამდვილ ჩემპიონად, პენდერს — ორი (მასაჩუსეტის და ნიუ-იორკის), ხოლო რობინსონს — მხოლოდ ერთი — ნევადას შტატი.

ჩილი 1962 წ.

შეინარჩუნებს თუ არა ბრაზილია ჩემპიონობას

ბრაზილიელებმა ორჯერ „გამოგლიჯეს ხელიდან" მსოფლიო ჩემპიონობა. 1950 წელს მათი მოულოდნელი დამარცხება (1:2) საკუთარ მოედანზე IV ჩემპიონატის ფინალში ურუგვაელებთან ტრაგედიად იქცა. ოქროს მედლების რეალური შანსები ჰქონდათ მათ V ჩემპიონატშიც, მაგრამ მძაფრი ბრძოლის შემდეგ დამარცხდნენ უნგრეთის „დიდ გუნდთან" (2:4). ახლა, როდესაც ბრაზილიელთა ოცნება რეალობად იქცა. „ჟიულ რიმეს" თასი მათი საკუთრება გახდა, მთელი ყურადღება მიმართულია მისი შენარჩუნებისაკენ. ბრაზილია პირველი ქვეყანაა, რომელმაც სპორტული ბაზა და სასტუმრო დაიქირავა ჩილში, სადაც გუნდი ადრე იქნება გაგზავნილი. მომავალ ჩემპიონატში გამარჯვება არა მარტო უაღრესად საპატიოა, არამედ უაღრესად ძნელიც იქნება, რადგან ბრაზილიელების წინააღმდეგ ყველა დიდი აღმავლობით ითამაშებს. სწორედ ამ დროს მსოფლიო ჩემპიონმა დაკარგა თავისი სახელოვანი მწვრთნელი ფეოლა, რომელმაც დიდ პასუხისმგებლობას არგენტინაში გადასვლა და კლუბ „ბოკა ჟიუნიორესის" ხელმძღვანელობა ამჯობინა.

შვეციიდან ჩილამდე

VI ჩემპიონატიდან განვლილ დროს დიდი ტრიუმფი არ მოუტანია ბრაზილიელთათვის. სამხრეთ ამერიკის პირველობა მსოფლიო ჩემპიონატმა დაუმარცხებლად ჩაატარა, მაგრამ მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა არგენტინის შემდეგ (1959 წლის გაზაფხულზე). მალე გაიმართა პანამერიკული ჩემპიონატი ეკვადორში. აქ გაიმარჯვეს ურუგვაელებმა, ბრაზილიელებმა კი მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს. თუმცა, ბრაზილიელებმა თავი იმით ინუგეშეს, რომ „შვედური" ნაკრების ნაცვლად ეკვადორში ერთ-ერთი პროვინციული კლუბი თამაშობდა. ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა იყო „ატლანტიკის თასის" გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდნენ ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის და პარაგვაის გუნდები. პარაგვაელებმა მარცხი განიცადეს სამივე შეხვედრაში, „გრანდებმა" კი (ასე უძახიან ბრაზილიას, არგენტინას და ურუგვაის) ქულების თანაბარი რაოდენობა (4 ქულა) მოაგროვეს. ამასთან ბრაზილიელებმა ბოლოსდაბოლოს სძლიეს არგენტინელებს (5:1), მაგრამ აშკარა უპირატესობის მიუხედავად წააგეს (0:1) ურუგვაელებთან, ხოლო ურუგვაელები დამარცხდნენ არგენტინელებთან. საბოლოოდ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო „ატლანტიკის თასის" მფლობელად ბრაზილიელები გამოცხადდნენ. უფერულად ჩაიარა ნაკრების გასტროლებმა ევროპაში.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბრაზილიელებმა თვალსაჩინო ზარალი განიცადეს. მათ დაკარგეს VI ჩემპიონატში მონაწილე სამი თავდამსხმელი—მაცოლა, ვავა და ევარისტო. პირველი „მილანში" თამაშობს და იტალიის ნაკრებს „უმიზნებს", ვავა მადრიდის „ატლეტიკოს" წამყვანი „ბომბარდირია" და სამშობლოში დაბრუნებას აღარ აპირებს, ხოლო ევარისტო „ბარსელონაში" დამკვიდრდა. გამოჩენილი ცენტრფორვარდი პაულინიო გადაიბირა არგენტინის „ბოკა ჟიურიონესმა", კანარიო — „რეალმა". სკანდალურად დამთავრდა დიდის არც თუ ისე ხანგრძლივი ყოფნა ამავე კლუბში. დღეს დიდი თამაშობს „ბოტაფოგოში".

ფედერაცია ასახელებს კანდიდატებს

ამას წინათ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ დაასახელა ეროვნული ნაკრების კანდიდატები, რომელთაგანაც შედგება ჩილში გასაგზავნი გუნდი. მათ შორის ბევრი ნაცნობია, მაგრამ არიან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაწინაურებული ახალგაზრდა ფეხბურთელებიც.

ბრაზილიაში უძლიერეს მეკარედ კვლავ ჟილმარი ითვლება, ხოლო მის შემცვლელად — კასტილიო, მცველებად ისევ ჯალმა და ნილტონ სანტოსები ითამაშებენ, რომლებიც ამჟამად უარეს ფორმაში იმყოფებიან, ვიდრე შვეციაში. ნილტონ სანტოსს ბევრჯერ უნდოდა თამაშისათვის თავის დანებება, მაგრამ მას არ ანთავისუფლებს გუნდის ხელმძღვანელობა. ფეოლას მიაჩნდა რომ 36 წლის ნილტონ სანტოსი კიდევ ჯობია ორ თვრამეტი წლის მოთამაშეს, მაგრამ ამ აზრს ბრაზილიაშიც კი არ იზიარებენ. ჟურნალ „ფუსბალ-ვოხეს" მიმომხილველ ჰაკის აზრით, ბრაზილიის ნაკრებს აშკარად აკლია პირველხარისხოვანი მცველები. გადახალისდა ნახევარდაცვა. აქ დაირღვა ცნობილი „დუეტი" ორლანდო-ბელინი, რადგან ორლანდო ამჟამად ცუდად თამაშობს. „ყოველი შემთხვევისათვის" იგი მაინც შეიტანეს ნაკრების კანდიდატთა სიაში. ნაკრების კაპიტანი ბელინი კვლავინდებურად საუცხოოდ თამაშობს, მეოთხე მცველის როლს ასრულებს ალდემარი, ხოლო თავდასხმას ეხმარება ძიო. მათ გარდა, გუნდში არიან ვეტერანები დინო და ზიტო.

ბევრად უკეთესი მდგომარეობაა თავდასხმაში. მარჯვენა გარემარბები არიან გარინჩა და ჟულინიო. გარინჩა ამჟამად რამდენადმე უარესად თამაშობს, ვიდრე შვეციაში, მაგრამ მასზე მაინც დიდ იმედებს ამყარებენ. ვირტუოზული ტექნიკა და თამაშის ღრმა გაგება აქვს ჟულინიოს. დიდი შეცვალა ახალგაზრდა ფორვარდმა ჩინეზინიომ (რაც „პატარა ჩინელს" ნიშნავს), დიდი ტაქტიკური ალღოს მქონე ჩინეზინიო გუნდის ყველაზე თვალსაჩინო შენაძენია მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. მას უწოდებენ „1960 წლის დიდის". იგი უდავოდ ითამაშებს ჩილში, რადგან უკვე ერთი წელია, რაც კონკურენციის გარეშეა ნაკრებში. ცენტრფორვარდის პოსტის პრეტენდენტები არიან ზანგი ჭაბუკი კუტინიო და ვალდო, რომელთაც შეიძლება შეუერთდეს პაულინიო (რასაკვირველია, არგენტინიდან დაბრუნების შემთხვევაში). ბრაზილიაში თვლიან, რომ ჩინეზინიომ და კუტინიომ მთლიანად შეცვალეს დიდი და ვავა. დიდ იმედებს იძლევა მეორე ცენტრფორვარდი ვალდოც. რამდენიმე სიტყვა პელეს შესახებ. ესაა თავდასხმის მთავარი ძალა, რომლის საწინააღმდეგოც ბევრ გუნდს ვერ აღმოაჩნდება. ვერც სამხრეთ ამერიკაში და ვერც ევროპაში ვერ გამოინახა მცველი, რომელსაც შეეძლოს „შავი მარგალიტის" ჩაკეტვა.

მწვრთნელი ფეოლა ყოველთვის მეტად ფრთხილად ეკიდებოდა პელეს. განზრახ არ გამოყავდა იგი იმ მატჩებში, სადაც უხეში თამაში იყო მოსალოდნელი. გამოცდილ მწვრთნელს ჰქონდა ამის საფუძველი. პელეს უკვე რამდენჯერმე გაუხსენა ძველმა ტრავმამ, რომელიც მან ევროპაში გასტროლების დროს მიიღო. მისთვის საჭირო ხდება ოპერაციის გაკეთება, მაგრამ ბრაზილიაში იმედოვნებენ რომ პელე სრულიად ჯანმრთელი შეეგებება ახალ მსოფლიო ჩემპიონატს. მარცხენა გარემარბები არიან ზაგალო, რომელიც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა და ბრაზილიური ფეხბურთის ვეტერანი პეპე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაკრების თავდასხმაში თამაშობენ კუტინიო და პელე „სანტოსიდან", შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი პარტნიორის პეპეს „პოზიცია უკეთესია", ზაგალოსთან შედარებით. ეს იმიტომ, რომ ნაკრების ხელმძღვანელობის უპირველესი საზრუნავია ანსამბლის შექმნა.

ბრაზილიის ნაკრებში შექმნილ მდგომარეობას ჟურნალი „ფუსბალვოხე" ასე ახასიათებს: აქ ხდება „კადრების გადამზადება" თავდასხმაში, სადაც პირველხარისხოვანი კანდიდატების სიჭარბის მიუხედავად აღარ იციან ვინ ათამაშონ. იგივე ითქმის დაცვაზეც, მაგრამ სულ სხვა მიზეზით. რამდენადაც ბრაზილიაში „ყველას შეტევა სურს, დაცვა კი არავის". კარგი მცველების უყოლობის გამო ნაკრების ხელმძღვანელობა თვით „მოხუც" სანტოსებსაც კი ვერ შეელია...

უპირველესი საკითხი, რომელიც ბრაზილიელებმა უნდა გადაწყვიტონ, მწვრთნელის საკითხია. ფეოლას ღალატი მათთვის მოულოდნელი იყო. დიდების ზენიტზე მყოფი გუნდის დატოვება ხომ გარეგნულად მეტად უცნაურია, მაგრამ მრავლისმომსწრე ფეოლა თვლის, რომ მას აქვს ამის საფუძველი.

გ. გამრეკელი

23 თებერვალი
ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზში
საკავშირო პირველობა
კალათბურთი
„დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი)
ქალები
დასაწყისი 19 საათზე.

თბილისის სპორტკავშირის ფეხბურთის სექცია აცხადებს, რომ 27 თებერვლიდან 35-ე საშუალო სკოლის ბაზაზე მოეწყობა ქალაქის ფეხბურთის მსაჯების მოსამზადებელ-გადასამზადებელი სემინარი. განაცხადი მიიღება 24 თებერვლამდე.

სემინარის დასაწყისი 19 საათზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05457